



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010150934816417

10 / ოქტომბერი / 2017 წ.  
№ 834/ს

ქ. თბილისში, გულუას N6-ში მდებარე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მე-2 სართულზე 2 (ორი) ერთეული სავაჭრო (ვენდინგ) აპარატის (ყავისა და პროდუქტების) განთავსებისათვის საჭირო ფართის სარგებლობაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N01) გამოცხადების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, და 38-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 04 ოქტომბრის N5/51447 წერილისა და საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურის უფროსის 2017 წლის 06 ოქტომბრის N22706/03 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ქ. თბილისში, გულუას N6-ში მდებარე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მე-2 სართულზე 2 (ორი) ერთეული სავაჭრო (ვენდინგ) აპარატის (ყავისა და პროდუქტების) განთავსებისათვის საჭირო ფართის სარგებლობაში გაცემის მიზნით.
2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
3. დაევალოს სააგენტოს საფინანსო და ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ. კიწმარიშვილი) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) და სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება.
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში (ქ. თბილისი. გულუას ქ. N6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

ა. გვანაძე

თორნიკე გვაზავა

